ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4194283

ნომერი: AR1633292

თარიღი : 26.09.2018

გაცემის თარიღი : 01.10.2018

გაცნობის თარიღი : 01.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩანტლაძე , ინტურისტის ბაზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩანტლაძე , ინტურისტის ბაზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერიან ტოგონიძე პ/ნ 01025007069
- ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. #28

ორგანიზაცია:
- სოფიო ჯორბენაძე კოდი: 01024027636

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი, 2018 წლის 26 სექტემბრის AR1633292 განცხადება, რომლითაც ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.
სამსახურში არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
ქ. თბილისისმერიის სსიპ– თბილისის არქიტექტურისსამსახურის მიერ 2010 წლის 18 მარტს №379 დამტკიცდა ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ჩანტლაძის ქუჩა, ინტურისტის ბაზის მიმდებარედ 77871 მ2 ფართის მქონე№01.19.17.003.023 საკადასტრო ერთეულზე, სამეწარმეო ობიექტის ასაშენებლად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ხოლო, 2012 წლის 29 ნოემბრის №451579 ბრძანებით ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მარტის №379 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება, კერძოდ: ა) საკადასტრო კოდად №01.19.17.003.023 ნაცვლად დაფიქსირდა №01.19.17.003.024 და №01.19.17.003.025; ბ) მიწის ნაკვეთის ფართად 77871 მ2 -ის ნაცვლად დაფიქსირდა 48353.00 მ2 და 29518.00 მ2 ; გ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი №01.19.17.003.024; 01.19.17.003.025 – სარეგისტრაციო №882011307516 28.06.2011; 882011307523 28.06.2011; სარეგისტრაციო №882009191374 07.07.09 წ; №882010847581 26.10.10 წ.); დ) მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმების შესაბამისად; ე) საპროექტო ობიექტის ფუნქციას დაემატა სამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო.
განმცხადებელი ითხოვს 2010 წლის 18 მარტს №379 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და ფუნქციაში ნაცვლად სამეწარმეო ობიექტისა საცხოვრებელის (მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი) დაფიქსირებას.
დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და მოთხოვნილი ცვლილება, იმდენად არსებითი ხასიათისაა, რომ მნიშვნელოვნად ცვლის მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს. აქედან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება 2010 წლის 18 მარტს №379 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.